ხობის მოამბე

№4 (7158)
31 მარტი,
პარასკევი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

31 მარტი... 9 აპრილი...



„ქართველი, რომელმაც ნაღდია ღვთისმოფი იმპერიისა“

ისინი მუსიკიდან მოვიდნენო, –აღნიშნავს ჩვენი დიდებული მწერალ-ბიოგრაფოსი ბატონი როსტომ ჩხეიძე ორ ძმადნაფიც გმირ-ქართველ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავაზე.

დიახ, მუსიკიდან, ფილოსოფიიდან, ლიტერატურიდან, მაგრამ განსაკუთრებით მაინც მუსიკიდან, დიდი გავლენა ჰქონდა ორივეზე მუსიკას, შეიძლება ითქვას კომპოზიტორთა ჰანგებიდან არიან შობილნიო. მაგრამ არა მითოსური გმირებივითო.–აღნიშნავს ბატონი როსტომი თავის დიდებულ ბიოგრაფიულ რომანში: „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“, რომელიც არა მხოლოდ მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ქრონიკა და ბუნებრივი გაგრძელება გახლავთ რომან- ტრილოგიისა–საქართველოს პირველ პრეზიდენტზე: „ეკლის გვირგვინი“.

თუ რამ მნიშვნელოვანი შექმნილა ამ ორ ადამიანზე, თითქმის ყველაფერი წაკითხული მაქვს, ბევრი მონაყოლ-მონათხრობის მოსმენითაც გამიმდიდრებია ჩემი ცნობიერება.

მართალია ყველას არ დაეჯერებოდა, მაგრამ ასეთ გმირებს ყველაფერი უხდებათ, მათი გასაოცარი ცხოვრება და საქმეები ბევრ რამეს იტევენ.

ამეკვიატა ეგ ფრაზა–ისინი მუსიკიდან მოვიდნენო. მუსიკა ხომ, უკიდეგანო თავისუფლების საერთაშორისო ენაა... კომპოზიტორი „თავისუფლების ჰიმნისა“, რომელიც პატარაობიდანვე განუწყვეტლივ ჩაესმოდათ ჭაბუკებს, გახლდათ დიდოსტატი კონსტანტინე, რომელმაც გამოაწრთო და გამოკვერა თავისუფლებისაკენ მტოლველი დაუდეგარი სულები. ჰენდელის „ალილუია“ არა მხოლოდ საგალობელია უფლისადმი, არამედ ჰიმნიცაა თავისუფლების უსასრულობისადმი მიძღვნილი. არ შეიძლება ალილუიას მომღერალ ადამიანს გზა გადაუღობო და წაართვა ის, რისთვისაც უფალს შეჰღაღადებს და რისთვისაც ქვეყნად მოუვლენია.

ღმერთი ჭეშმარიტებაა და ამ სიმაღლიდან ჭვრეტს ყოველივეს, აძლევს საშუალებას ღირსეულთ–ამაღლებისა და საკუთარი თავის რეალიზებისა...

2

გზა ხიბულამდე...

მე მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიგს, ვისაც მოუსმენია დიდი ქართველი მეცნიერის, ლინგვისტის, საზოგადო მოღვაწის ზვიად გამსახურდიას ლექციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო დარბაზში, სადაც სტუდენტებთან ერთად, ინტერესითა და დიდი გულისყურით ისმენდნენ მის გამოსვლებს უკვე შემდგარი ლექტორ-მასწავლებლები, პროფესორები, აკადემიკოსები... დარბაზი ვერ იტევდა მსურველებს მისი ღრმა, ფილოსოფიური ნარკვევების მოსასმენად...

უდაოდ, ჩვენს წინ იდგა დიდი მკვლევარი, მეცნიერი, ლიტერატორი, შესანიშნავი ორატორი... საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი... ის კარგად ავლენდა თავის სულიერ მისიას...

საქართველოს ისტორიას ამშვენებს დიდ მამულიშვილთა სახელები, რომლებიც ეპოქებს ქმნიდნენ:

ქუჯი, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, თამარი, ქეთევან დედოფალი, ილია...

მე-20 საუკუნემ წარმოაჩინა ზვიად გამსახურდია, თუმცა ის, მარტო ამ საუკუნის შვილი როდი იყო.

ზვიად გამსახურდია, საქართველოს ისტორიაში ცნობილი ღირსეული წინაპრების აზრთა გამხმოვანებელი, ქართველთა მოდგმის სურვილის ხორცშემსხმელი, მისი გენიალური მამის_დიდი კონსტანტინეს ეროვნული იდეებით გაჟღენთილი შემოქმედებითა და სულით ნაწრთობი იყო. საკუთარ ოჯახში ნაგრძნობმა საქართველოსადმი სიყვარულმა, თავისუფლებისკენ სწრაფვის მარადიული გრძნობით აღჭურვა და საუკუნის ბოლოს ჩამოაყალიბა უსამართლობისადმი დაუმორჩილებელ, სამშობლოსადმი თავდადებულ, წარსულის დიდებით გაზვიადებულ, ამაყ კოლხ რაინდად.

3

თენგიზ ქაჯაია–60

ისტორიაში გაბედულნი

ირგვლივ სიჩუმეა...

მოგონებებმა სული ამიფორიაქა...

შავმა ყორანმა დაფლითა გული...

ათეული წელი გავიდა, მაგრამ ხობელებისთვის და სრულიად საქართველოსთვის დაუვიწყარია 1992 წლის ქრისტეშობის თვე...

მიწა ზანზარებდა...

ხალხი ბობოქრობდა...

ბებერ მუხას მუმლი ეხვეოდა...

ფარისეველთა და ურჯულოთა სიძულვილით, სისხლით გალეშილი დავითის სამშობლო ცრემლებს ღვრიდა...

კაენის სუნი ტრიალებდა საქართველოში, სატანებს ზეიმი ჰქონდათ გამართული ქართულ მიწაზე და როგორც კალოზე პურის თავთავებს, ისე ლეწდნენ და ლეწდნენ ქართულ სულს.

4

31 მარტი... 9 აპრილი...

„ქართველი ოდესღაც ხალეკა ღვთისოფი იმპერიისა“

1

მერაბს და ზვიადს დაეწერათ სამშობლოსათვის თავგანწირვა. „მუსიკიდან მოვიდნენო“... ქართულმა პოლიფონიურმა სამშვენისებმაც გაუღვივეს ცეცხლი გულისა და ეკვეთნენ ურჩხულს.

„შავლეგოს“ გუგუნით ვიდოდნენ ყველგან, ჩინარად და უჩინრად, ვის უნდა დამალოდნენ, როცა ხესაც ყური ჰქონდა და ქვასაც კაცისა ესმოდა. წითელი ურჩხული არ თმობდა პოზიციებს, ან რატომ უნდა დაეთმო, როცა ყველაფერი მის სისხლიან ლაშებსა და გაუმაძღრობას ემსახურებოდა. ისინი მიდიოდნენ, მედგრად და უშიშრად.

წითელი ვეშაპი ეღობებოდათ წინ, მაგრამ სურვილი გამარჯვებისა, იმდენად დიდი და შეუვალი იყო, ვერაფერი შეაჩერებდა. მათ გიჟებად და დემაგოგებად, ცრუ მეოცნებეებად და მუცლით მეზღაპრეებად მოიხსენიებდნენ. აბა ვის წარმოედგინა საბჭოეთის დამარცხება, მითუფრო, „თავზეხელაღებული“ ორი ახალგაზრდის მიერ, რომელთაც მომხრეები ჰყავდათ და არცა ჰყავდათ... თუ თითო-ოროლა უჭერდა მხარს, ისიც ფარულად, ჩუმად, ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას, ვის ჰქონდა ორი თავი? ციმბირს უკან დაატოვებინებდნენ!

ასეც მოხდა ზვიადისა და მერაბის შემთხვევაშიც, დიდოსტატ კონსტანტინეს სიკვდილის შემდგომ, ფაქტიურად მოიშალა დამკავებელი მუხრუჭი და ორივე გადაასახლეს. მერაბმა რვა თვე იშიმშილა, ხომ დაუჯერებელია, მაგრამ სიმართლეა. როცა ჭამაზე საერთოდ უარი განაცხადა, ხორხი გაუჭრეს და იქიდან აწვდიდნენ საჭმელს. გადარჩა, ბედისწერა სხვანაირ მომავალს, განსაცდელსა და სასრულს უმზადებდა. „კარცერის“ პატარა სარკმელი დღისით ჩაბნელდებოდა ხოლმე და განაწამები, თაგვისთვისაც ძლივს კუდმოსაქნევ სენაკში გამომწყვდეული ქედმოუხრელი და დაუჩოქარი გმირი, ვიწრო სარკმელზე სინათლის დამჩრდილავ ყორნებისა თუ ყვავების გუნდს გასძახებდა: მე, თქვენზე თავისუფალი ვარო.-ასეც იყო, ის თავისუფალი იყო ყველგან და ყოველთვის!..

ზვიადს უნასი შეუსრიალეს ერთკაციან „კამერაში“, გაგიჟდება და საბაბიც გვექნება მოშორებისო! რა არ დასწამეს და რა არ გაუკეთეს!

საბჭოთა უშიშროება გასმაგებული ძალებით ებრძოდა მიუღებელ ფანატიკოსთ. რომლებსაც ფანატიკურად უყვარდათ საკუთარი ხალხი და ქვეყანა, ის ხალხი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მზად იყო ტყვია დაეხალა მათთვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დაშლით ემუქრებოდნენ დიდ საბჭოეთს.

როცა „დრო მოდგა საუკეთესო“, ქართული საზოგადოება, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მათ მხარეს დადგა, მათი მამულიშვილური იდეების ერთგული გახდა.

1989 წლის 9 აპრილი გახლავთ დასტური ამისა, როცა ერთ-სულ და ერთ-ხორც შეკრული საქართველო უშიშრად დახვდა კრემლის ტანკებსა და ალესილი ნიჩბებით შეიარაღებულ საბჭოთა ჯარს. ან სიკვდილი, ან გამარჯვება. გუგუნებდა „შავლეგო“ და „მამაო ჩვენოს“ ლოცვის გადასაფარავად მოღელავდა წითელი ურჩხული... მოღელავდა და მოჰქონდა სიკვდილი... 9 აპრილი იქცა ერთ-ერთი უმთავრეს დღედ ჩვენი ერის ცხოვრებაში. 9 აპრილი მოგვევლინა დღედ მოწამეებისა, რომელთა უმანკო სისხლი დაუპირისპირდა იმპერიულ რეჟიმს. ჩვენ სიკვდილითაც გავიმარჯვეთ და საფუძველი ჩავუყარეთ დამოუკიდებელ საქართველოს.

9 აპრილი გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ამ დღეს გამოცხადდა დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა.

31 მარტი კი გახლდათ საფუძველი ამ საოცარი თარიღისა, სწორედ რეფერენდუმის ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობას.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართველებთან და სხვა ეროვნების ადამიანებთან ერთად, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დამოუკიდებლობას ხმა მისცეს ჩვენი მოსახლეობის, განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა, აბსოლუტურმა უმრავლესობამ. დღევანდელი საქართველოც ამ აქტის ჭეშმარიტებასა და სამართლებრივ შეუვალობაზე დგას.

ქართველთა ერთიანობის შედეგი გახლდათ: პირველყოვლისა, 31 მარტის რეფერენდუმი და ამ საერთო-სახალხო გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 9 აპრილს და გაღვთიურება სამშობლოსთვის დაღვრილი სისხლისა.

ქართველთა ერთიანობისა და თანხმობის მაგალითი იყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ირგვლივ ქართველი ხალხის გაერთიანება დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. რაც აისახა კიდეც რეფერენდუმის მონაწილეთა პოლიტიკური უმრავლესობის გადაწყვეტილებაში! რაც შემდეგ მოხდა, გახლდათ იმპერიის ძალიხმევით, ხუნტის მიერ მოწყობილი შეიარაღებული, სისხლიანი დაპირისპირება კანონიერი ხელისუფლებისა და ხალხის მიერ სამართლიანად არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ.

როგორ არ ეცადნენ და ცდილობენ დღესაც, იმპერიისა და ხუნტის ისტორიკოსები, პოლიტოლოგები თუ სხვა პროფესიის ადამიანები სახელმწიფო გადატრიალება გადაფარონ ე. წ. სამოქალაქო ომის სუსხით, მაგრამ რაც არ ყოფილა, იმას ვერასგზით დაამტკიცებენ.

1991- 92 წლის დეკემბერიანვარში რუსეთის იმპერიამ განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, მტრის, ანუ იმპერიის მხარეს აღმოჩნდნენ კომპრომირებული, მოღალატე ინტელიგენციის წარმომადგენლები და მათ მიერ მოტყუებული ადამიანები, რომლებმაც ესროლეს საკუთარ ხალხსა და ქვეყანას, დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, განდევნეს ხალხის რჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და დააბრუნეს ქვეყანაში კრემლის მმართველობა.

ამ სიმართლის სუსხს ვერავინ გაექცევა, რადგან ყოველივე ჩვენს თვალწინ და ჩვენი, კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა და მხარდამჭერთა დევნის ფონზე ხოციელდებოდა.

უამრავი გულანთებული პატრიოტი შეეწირა უთანასწორო ბრძოლას, ნათელი მათ ხსოვნას! სწორედ მათი საგმირო საქმეები გვინათებენ გზას ბედნიერი საქართველოს მომავლისკენ, რომელიც უთუოდ სანატრელი გამარჯვებით დაგვირგვინდება!

გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, თანამებრძოლებო, ჩვენი სამშობლოს კეთილისმყოფელო ადამიანებო: 31 მარტს–რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის–ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს!

გილოცავთ 9 აპრილს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ...

მე ისევ არ მასვენებს აკვიატებული რეფრენი: ისინი მოვიდნენ მუსიკიდან!.. დიახ, „შავლეგოთი“, „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და უფლის სადიდებელი გალობებით მოასურვილეს–დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გასაოცარი ქარიშხალი, რომელმაც წალეკა ღვარცოფი იმპერიისა!..

ლაშა გვასალია.

გზა ხიბულამდე...

1

ზვიადი, თავის განუყრელ მეგობარ–მერაბ კოსტავასთან ერთად, იქცა თავისუფლებისთვის მებრძოლთა სიმბოლოდ, მან მოიტანა „წარსულის სუნთქვა“, რომელიც მთელი სიცხადით ჩვენს თაობას იქამდე არ განეცადა. ეროვნულობის განცდის უმაღლესი მწვერვალი–9 აპრილი ქართველ ხალხთან ერთად, გვიქცია დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ და სახელმწიფოებრიობის გზაზე საქართველოს გაუხსნა განვითარების სხვა პოტენციალი, სხვა შესაძლებლობები, ვიდრე აქამდე ჰქონია.

წინააღმდეგობები, ქარტეხილები მუდამ ზიდენტების შემდეგ დაიწყო რთული პერიოდი საქართველოს ისტორიაში. თავისუფალ საქართველოში დაიწყო დაპირისპირებები შინაურობაში, საპროტესტო აქციები, მიტინგები... საგარეო მტრებისგან შეგულიანებულმა თანამემამულეებმა ვერ მოახერხეს თავისუფლებით მიღებული უფლებების ვალდებულებებთან შეთავსება და აზრთა სხვადასხვაობების მართებული მართვა, რამაც საზოგადოება გაყო დაპირისპირებულ ბანაკებად.

გაიმართა სამოქალაქო დაპირისპირებები, მოხდა სამხედრო გადატრიალება და ქართველთა უპრეცედენტო უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტის ქვეყნიდან განშორება.

საშინაო და საგარეო წნეხით შევიწროებული ზვიად გამსახურდია, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, უსამშობლოდ დარჩა, მან ჩეჩნეთის მთიან მხარეს შეაფარა თავი.

აქედან დაიწყო მისთვის ის გოლგოთა, რომელმაც საბოლოოდ მთიანი სამეგრელოს გაუვალი გზებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წერტილამდე, ხიბულაში, ღურწკაიების ოჯახამდე მიიყვანა.

1993 წლის 31 დეკემბერს, სტეჩკინის მარკის პისტოლეტის ხმამ მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახადა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებული ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტა.

სწორედ ხიბულაში დასრულდა იმ გმირის ისტორია, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ადამიანის უფლებებისთვის იბრძოდა, მთელი თავისი შემოქმედებით ჰუმანიზმს ქადაგებდა, ბავშვობიდან ახალი დიდგორის ომის მოსაგებად ამზადებდა სრულიად საქართველოს...

დასრულდა სიცოცხლე იქ, სადაც ოდესღაც დიდმა მეფე გუბაზმა დაასრულა სიცოცხლე მოღალატის მოწამლული ისრით...

მუხთალმა ბედისწერამ თუ ისტორიამ, მძიმე ტვირთი გვარგუნა ხობელებს, მძიმე და ტკივილიანი... დიდებული ადამიანების დაბადების ადგილები ოქროს ასოებით იწერება, არავინ ფიქრობს იმაზე, თუ სად წამოგვეწევა ცხოვრების დაისი და ვცდილობთ, დავიწყებას მივცეთ ის წუთებიც და ადგილიც, რომელიც ყველაზე დიდს–სიცოცხლეს უსვამს წერტილს.

მაგრამ ცხოვრებაც არის და ცხოვრებაც... ზვიად გამსახურდია ხომ ის ადამიანი იყო, ვინც თავისი იდეებით, ქმედებებით, ღწვით მაგალითი იყო ქართველებისთვის. ის უყვარდათ და აფასებდნენ, ამიტომაც მისი ცხოვრების ყოველი წუთი და წამი მნიშვნელოვანი და განსხვავებული შარავანდით იყო მოსილი. თავისი გარდაცვალებითაც უდიდესი გაკვეთილი მოგვცა... იდუმალებით მოცული ტრაგედია ბევრ პასუხგაუცემელ კითხვებს ჰ ბადებს, მაგრამ შედეგი ერთმნიშვნელოვნად გვაჩვენებს ეროვნული გმირის აღსასრულის უბედურებას ქართველთათვის... ზვიადის გლოვის დღეებიც დიდი ზარის შემოკვრას ჰ გავდა...

საბოლოოდ ისღა დაგვრჩენია ისტორიის გაკვეთილებს გავუფრთხილდეთ, სამშობლოსადმი თავდადებულ, ნიჭიერებითა და ჰუმანურობით გამორჩეულ ერის შვილებს ღირსეული პატივი მივაგოთ, ესაა თითოეული მოქალაქის ვალი;

ჩვენს დროშიც ჩვენ გვერდით არიან ისეთი გამორჩეული ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ტვირთს საკუთარი ზურგით ეზიდებიან, სიკეთისა და ქველმოქმედების გზებით თაობებს ჩუქნიან საკუთარ ნაღვაწს.

ასეთმა გამორჩეულმა ადამიანმა, ჩვენმა თანამოქალაქემ, ნუგზარ (ხვიჩა) შონიამ, საზოგადოების მცირე ჯგუფთან ერთად, შეისყიდა სახლი, სადაც აღესრულა საქართველოს პირველი პრეზიდენტი და გადასცა სახელმწიფოს იმისთვის, რომ იქ შექმნილიყო მემორიალური სახლი ზვიად გამსახურდიას ცხოვრების უკანასკნელი დღისა და მისი სულიერი მისიის უკვდავსაყოფად, რომ მთელ ქვეყანას სამარადისოდ გაეგო თავისუფლებისთვის მებრძოლი კოლხი რაინდის სახელი.

აღსანიშნავია, რომ სიკეთის მქმნელთა რიგი გაამდიდრა ცნობილი მეცენატის, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ღვაწლმა. მან ფონდი „ქართუს“ მეშვეობით, რესტავრაცია ჩაუტარა ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლს, იქვე პირველი პრეზიდენტის სულის მოსახსენებლად ააშენა წმინდა მართალი ლაზარეს სახელობის ეკლესია და დღეს ახალი ხიბულა მომხვდურთ, ზვიადის თანამოაზრეებსა თუ თანამემამულეებს, შინაურ თუ უცხოელ სტუმრებს საშუალებას აძლევს ღრმად და ფართოდ გაეცნონ ზვიადის მრავალფეროვან ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი თვალით დანახული ქართული კულტურის, ლიტერატურის ისტორიას, ევროპული და ამერიკული ყოფის მისეულ ხედვებს...

მადლობა ყველას, ვინც გაისარჯა და პატივი მიაგო დიდი ადამიანის ხსოვნას და საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელის უკვდავყოფას შეუწყო ხელი.

ზვიად გამსახურდია ხობს ბევრჯერ სწვევია, მისი ომახიანი ხმით, ერისთვის საჭირო ბევრი მოწოდებები გაუჟღერებია, მაგრამ 1993 წლის 31 დეკემბერი ის დღე აღმოჩნდა, როცა უსიტყვოდ გვითხრა დიდი სათქმელი და ბოლო ამოსუნთქვა გვაჩუქა...

დაგვიტოვა ბურუსით მოსილი საიდუმლო და დემოკრატიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მარადიული ბრძოლის იდეა...

ამიერიდან, ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლი ძველ ხიბულაში გააგრძელებს თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი აზრისა და თავისუფლებისმოყვარე ქართველთა დამოძღვრას ზვიადისავე ცხოვრების მაგალითზე და მართალი, ნათელი გზების ორიენტირებს უჩვენებს საზოგადოებას...

ნინა ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.

თენგიზ ქაჯაია—60

ისტორიაში გამორჩეულნი

* * *

სისხლი აკივლდა, სიმწრის სიმძიმილმა ამიმღვრია გონება, აზრიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ერთგვარმა სიამაყის პირუთვნელმა გრძნობათა სალბუნმა შემაშრო ცრემლი...

* * *

გარეთ წვიმდა, ფანჯრის მინებზე ცრემლებივით მიცურავდნენ წვიმის წვეთები, შორს სივრცეში გამექცა ფიქრი და მივხვდი, რომ ათას ხელშევლებულ ჭუჭყიან ლაქებს იცილებდა საქართველო წვიმის წვეთებით...

* * *

–ომი ადრე აბერებს ადამიანებს...

ომი სიცოცხლის სიყვარულს კლავს ადამიანებში...

ის არის სასტიკი, ყველაზე დიდი უბედურება ამ ქვეყნად...

ომი ერთმანეთის პირისპირ, ძმათამკვლელი ომი...

შორს, ძალიან შორს დამაბრუნა წარსულმა... „საზარელ ბრძოლის ველზე ურიცხვ გვამთა შორის ორი ერთმანეთს გადაჭდობილი გვამი... ერთს ძვირფასი არაბული ხალათი ეცვა, მეორეს ვენეციელი გვარდიელის მუნდირი... უფალმა იცოდა, რომ ორივე მოძმის ხელით იყო განგმირული

* * *

თენგიზ ქაჯაია–მოძმის ხელით განგმირული საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეფექტი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი. ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

გამორჩეული ხვედრი არგუნა განგებამ...

სხვა იდეალი, სხვა წყურვილი, სხვა ოცნება, ფიქრი და მიზანი, გარდა საქართველოსი და ქართველი ერის სიცოცხლისა, სიკეთისა და დიდებისა, მისთვის არ არსებობდა. მან მთელი თავისი სიცოცხლე სრულად და უკლებლივ მისხალ-მისხალ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

* * *

18 მარტი, 2023 წელი

კულტურის სახლის მცირე დარბაზი... ხსოვნის საღამო, რომელიც მიეძღვნა თენგიზ ქაჯაიას 60 წლის იუბილეს.

საღამოზე თავი მოიყარა ქართველი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომლისთვისაც სამაგალითოა თენგიზ ქაჯაიას ცხოვრება და ის ზნეობრივი სიმაღლე, რომელიც მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა.

ნათქვამია, ღირსეული კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებ, არამედ მათაც ვინც იხსენებს.

ეს დღე იყო მეტად ემოციური, მაგრამ ისტორიული, რადგან წლების შემდეგ შევძელით მოგვეყარა ერთად თავი და კიდევ ერთხელ პატივი მიგვეგო სამშობლოსთვის თავგანწირული რაინდებისთვის. ამ ორი ნალდი ხობელის ბატონი თენგიზ ქაჯაიას და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის ტარიელ გელანტიასთვის.

დღეს, როცა ასე სჭირდება ერის სამშობლოს ბედილბალზე მოფიქრალი და ზნეობით შემკული ადამიანების, უფრო მწვავედ განვიცდით თენგიზ ქაჯაიას არყოფნით გამოწვეულ ტკივილს, მაგრამ ვგრძნობთ, თითქოს ისინი დღესაც ჩვენთანა არიან და მათი წმინდა სავანიდან გვაფრთხილებენ: „ქართველებო, ჩემო სისხლო და ხორცო! ულმერთოთა და ბნელეთის მოციქულთა თარეშსა და ორმომტრალში სამშობლოს მიხედეთ, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!..

ხსოვნის საღამოზე რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან ჩამოვიდნენ და საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მისმა მეგობრებმა და თანამებრძოლებმა–ბატონებმა მარნეულის ყოფილმა პრეფექტმა ვალერი გაბელიამ, ფოთის პრეფექტის პირველმა მოადგილე როსტევან გვარამიამ, მოადგილე გიგლა ბახტაძემ, ხობის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ სოხაძემ. მანანა ლორჩოშვილმა, ლაშა გვასალიამ, როლანდ ჯიქიამ, ლევან ქავთარაძემ, ანტონ ვარდიამ, გია ჭითავამ, ლერი აბრამიამ და სხვებმა, რომლებმაც ისაუბრეს თენგიზ ქაჯაიას ღვაწლზე...

საღამოს უძღვებოდა ქალბატონი მანანა შამათავა, მონაწილეობდა ანსამბლი „კოლხეთი“. გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინეს, რომ ბატონი თენგიზ ქაჯაია იყო მაგალითი სიმართლისა და ნიჭის მსახურებისა, ჭირსა შიგან სიმტკიცისა, სამშობლოს ერთგულებისა.

საღამოს ესწრებოდნენ მისი ოჯახის წევრები. ძმამ ბატონმა გოგი ქაჯაიამ და თენგოს სეხნია ძმისშვილმა სტუმრებს და ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს. მათმა ცრემლნარევმა ხმამ და ემოციამ დარბაზში მსხდომ საზოგადოებას ცრემლი მოჰგვარა.

დარბაზში ნაჩვენები იყო ირაკლი შონიას მიერ საარქივო ფოტოკოლაჟი აჟღერდა ჰიმნი „ჩემო კარგო ქვეყანავ!“

ღონისძიების დასრულების შემდეგ მოვინახულეთ თენგიზ ქაჯაიას საფლავი, სადაც მამა ზაქარიამ პანაშვიდი გადაიხდა.

...იყო ყვავილების ზღვა და სანთლების ფეიერვერკი.

ბატონი თენგიზის თაობა ვალში ვართ მის წინაშე, რადგან ჯერ კიდევ ვერ მივაგეთ ის პატივი და ღირსება, რაც მას ეკუთვნის, ვერ ვიქეცით მისი ზნეობის და პრინციპების დამცველად, მაგრამ მწამს დადგება დრო, როცა ახალი თაობა ზუსტად შეაფასებს და დააფასებს ერისა და ქვეყნისთვის თავდადებულ მამულიშვილს, რადგან ბატონი თენგიზის გზა, მისი ფიქრის საგანი მამული იყო მუდამ... მას მრავალი ჩანფიქრი ჰქონდა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ შეასხა ფრთები.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას...

ალალი იყოს მისთვის ის სიყვარული, რასაც თანამემამულენი გამოხატავდნენ.

* * *

მე-20 საუკუნის 80-იანი წლები უმძიმესი იყო საქართველოს ისტორიაში, გამორჩეული ბიჭები საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში შეეწირნენ სიმართლეს, სიყვარულს, რწმენას, ქართული გენის რაინდულ სინამდვილეს, „რამდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა, ამათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!“

„თქვენს ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...“

თენგიზ ქაჯაიას ოჯახმა სტუმრებს სახელდახელო ვახშმით უმასპინძლა...

ნაირა ბერაია.

თენგიზ ქაჯაიას და ტარიელ გელანტიას პორტრეტისთვის

„ერი სხვა არაფერია, თუ არა აბსოლუტური ზნეობრივი მთლიანობა“

ჰეგელი

უბრალო საუბარშიც კი ხშირად იყენებს ყველა ჩვენთაგანი სიტყვებს–ერი, სახელმწიფო. კაცობრიობა; ერისა და ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები...

ამჯერად სწორედაც, ასეთ პიროვნებებს–თენგიზ ქაჯაიასა და ტარიელ გელანტიას ვიხსენებთ.

მე ვიტყოდი, რომ ეს პიროვნებები იყვნენ არა მხოლოდ დიდი ერისკაცების თანამებრძოლები, არამედ ისინი იყვნენ თავისი ერისა და სამშობლოს თანამებრძოლები. ბრძოლას კი მთელი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე სათავეში ქართველთაგან წმინდანად შერაცხული უზარმაზარი პიროვნებები ედგნენ სათავეში, განურჩევლად მათი ადგილისა სოციალურ იერარქიაში. ჩვენს ეპოქაში კი ასეთები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. სწორედ მათთან ერთად თენგიზმა და ტარიელმა თავი დადეს ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და მისი შემდგომი განვითარებისთვის. მათ ამისთვის არ დაუზოგავთ თავიანთი ადამიანური თუ ინტელექტუალური პოტენციალი.

მათ გააჩნდათ ფრიად საინტერესო პროექტი ქვეყნის ფისკალური და ეკონომიკური განვითარების ევოლუციურად დაფუძნებულ თეორიაზე (და არა რევოლუციურად), რაც აისახა კიდევაც ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს გარდამავალ კონსტიტუციაში და ეკონომიკურ-სამართლებრივ პოლიტიკაში.

როდესაც ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან წარსულზე დავფიქრდები, როდესაც თენგიზისა და ტარიელის სახეებთან ერთად აღვადგენ მეოცე საუკუნის მიწურულის ეროვნულ მოძრაობას, როდესაც თვალში შევცქერი თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენციურად ჩამოყალიბებულ დაავადებას, მახსენდება საფრანგეთში აღსრულებული ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ფილოსოფოსის მიხაკო წერეთლის სიტყვები: ჩვენ ხშრად ვლაპარაკობთ კაცობრიობა, როგორც ერთ სოციალურად არსებულ საგანზედ, ეს ილუზიაა, ამ ილუზიას საკურთხეველზედ ვწირავთ ეროვნებას და იმას კი არ ვკითხულობთ, არსებობს თუ არა ნამდვილად ეს კაცობრიობა, როგორც საზოგადოებრივი არსი და შეეწირება თუ არა ამას ეროვნება, ერი, რომელიც შეიძლება კაცობრიობაზედ არანაკლები სოციალური შინაარსის მქონე არსი იყოს, ეს კიდევ არაფერი–ვიკითხოთ იქნებ სწორედ ერი იყოს სოციალური სინამდვილე და კაცობრიობა კი ილუზია, ან იდეალი მომავლისა.

დიახ ვიკითხოთ და ვიფიქროთ ხალხნო, რომ ერისკაცების სულებსა და მათ მიერ ნაკეთებ საქმეებს გაუფრთხილდეთ, როგორც ბურჯს ჩვენი თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობისა.

თენგიზ ქაჯაიას კი არ ესროლეს და ტარიელ გელანტიას კი არ დაატოვებინეს სამშობლო, არამედ მოსყიდულმა მანქურთებმა ეროვნულ-სახელწიფოებრივ ცნობიერებას ესროლეს. მათ დასაწყისშივე ესროლეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას!

გვახსოვდეს სამშობლო!

გვახსოვდეს ჩვენი მორალური კოდექსი!

გვახსოვდეს ჩვენი გმირები!

როსტევან გვარამია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

29 მარტს, ხობის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიხსნა ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 84 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენა.

ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საგაბისონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

ინფრასტრუქტურული პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება ერთ მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განახორციელა.

პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საპერტიოს უბანში გზის რეაბილიტაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დასრულდება.

ხობის მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

მერიაში შექმნილმა კომისიამ სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობა ადგილზე შეისწავლა და ზარალის მოცულობა დაადგინა.

მუნიციპალიტეტში, იანვარში სტიქიის შედეგად დაზარალებულ 480 ოჯახზე გაიცა კომპენსაცია.

საქართველოს მთავრობის მიერ ხობის მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით ქვემო ქვალონის კულტურის სახლის, გურიფულის და საგვიჩიოს საბავშვო ბაღების სახურავები რეაბილიტირდება.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 81 179 ლარს შეადგენს.

ვულოცავთ!

მარიამ ლაგვილავა 16 წლის გოგონათა შორის ჭადრაკში სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

საპრიზო ადგილთან ერთად მარიამმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ორგანიზებით 21 მარტს კულტურის სახლის დიდ დარბაზში დაუნის სინდრომის და მეთოჯინეთა საერთაშორისო დღე პრემიერით „ბრიყვი მამალი“ აღინიშნა.

კულტურის სახლის ფოიე საზეიმოდ იყო მორთული ფერადი ჰელიუმის ბუშტებით. მოწყობილი იყო გამოფენა ბავშვების ნახატების, გობელინისა და თექის წრის წევრების ნამუშევრებით.

სპექტაკლის რეჟისორი და სცენარის ავტორი მანანა შამათავა, მხატვარი ირა სიხარულია, ქორეოგრაფი გოდერძი გახარია, მუსიკალური გაფორმება თინათინ ჯიქია, ტექნიკური რეჟისორი თეონა ჩარგაზია.

მონაწილეობდნენ: მარინა ჯღარკავა, მანანა შამათავა, ლიზი ბუკია, კესო კობახიძე და გიორგი ლატარია. წამყვანი კაშკაშა გოგონა კესო კობახიძე.

პრემიერამ სრული ანშლანგით ჩაიარა. მსახიობების სისხარტემ, მოქნილობამ, ესტეთიურად სასიამოვნო გარემომ, პატარები გაახარა.

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, ბავშვობა კი ყველაფრის მიუხედავად ლაღი, უზრუნველი და ბედნიერია.

დაუნის სინდრომის მქონე პირებს სასაჩუქრე პაკეტი გადაეცათ.

ჯადოსნური და ფერადი დღე საოცარად სასიამოვნო განწყობით დასრულდა.

მაყურებელმა კმაყოფილებით დატოვა დარბაზი.

ნაირა ბერაია

ნომრის სტუმარია მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მთვარისა ბართია

„იმედია სოფელში ყველაფერი კარგად იქნება!“

რა არის თქვენთვის სოფელი პატარა ფოთი? იქნებ, როგორც ყველა სოფელს, თქვენსაც აქვს თავისი ისტორია, რატომ ჰქვია მას პატარა ფოთი?

–ჩემი სოფელი ძალიან ლამაზია და მართლაც ძვირფასია ჩემთვის. ჩემი აზრით ეს არის ყველაზე საუკეთესო დასახლება სამეგრელოში. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ.

პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეული მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო ზემო-სვანეთის

მხარეში, ხობის მუნიციპალიტეტში. მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ოდიშის დაბლობზე. ზღვის დონიდან 10 მ-ის სიმაღლეზე. მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 30 კმ-ით. მისი საერთო ფართობი შეადგენს 3250,35 ჰა. სოფელში არის ერთი ცენტრალური ქუჩა (წმინდა ბარბარეს ქუჩა) და 6 პატარა ქუჩა (სამეგრელოს, ფოთის, წმინდა გიორგის, ვანის, ნიკო ნიკოლაძის და კოკაიას ქუჩები).

პატარა ფოთი არსებობის ერთ საუკუნეზე მეტს ითვლის, რადგანაც სოფელი ახლოს მდებარეობდა ქალაქ ფოთთან და მოსახლეობა 40 კომლს ითვლიდა (ისინი მარტვილის, ჭიათურისა და ვანის რაიონებიდან ჩამოსახლებულან), ამიტომაც სოფლისთვის უწოდებიათ „პატარა ფოთი“.

მას სოფლის სტატუსი დავით დადიანის დროს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონია. მოსახლეობა ქალაქს ძირითადად უკავშირდებოდა მდინარე რიონის საშუალებით, სადაც გადაადგილდებოდნენ ნავებით და ტივებით, ხოლო სახმელეთო გზა მათთვის საცალფეხო ბილიკი ყოფილა...

უპასუხეთ გაზეთის მთავარ კითხვას, ვინ არის ქალბატონი მთავრისა ბართია. როდიდან ხელმძღვანელობთ სოფელს?

–გახლავართ მთვარისა ბართია ვახტანგის ასული; დავბადებულვარ 23.03.1977 წელს; ვარ დასაოჯახებელი; 10 წელია ვმუშაობ. 2013-2015 წლებში ვიყავი ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის სპეციალისტი; 2016 წლიიდან დღემდე ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ვარ კომუნიკაბელური და სამართლიანი ადამიანი, ჩემი ჰობი წიგნების კითხვაა, განათლებით ექიმი ვარ. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 1996–2002წ; საყვარელი მწერალია კონსტანტინე გამსახურდია.

როგორი იყო გასული წელი სოფლისთვის. გვიამბეთ ყველაფერი, რაც შარშან გაკეთდა სოფლისთვის?

–ჩემი მუშაობის პერიოდში დაიგო ცემენტ-ბეტონის გზის საფარი 4,5 კმ-ის მანძილზე; სრული რემონტი ჩაუტარდა საბავშვო ბაღს; გაკეთდა ხიდბოგირები; შემოიღობა სასაფლაოების ეზოები; სოფლის 5 კმ-ის მანძილზე მოეწყო გარე განათების სისტემა; შარშან სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გაკეთდა გარე განათება.

რა ფუნქციონირებს სოფელში?

–პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ირიცხება 399 კომლი, აქედან მუდმივად მცხოვრები არის 318 კომლი, სულთა რაოდენობა შეადგენს 976-ს. ადმინისტრაციულ ერთეულში ასევე რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა 18 ოჯახი. მაცხოვრებელთა სრული შემადგენლობა არის ქართველი.

საჯარო სკოლა აშენდა 1939 წელს ამჟამად სკოლაში სწავლობს 83 მოსწავლე და დასაქმებულია 29 თანამშრომელი. (დირექტორი შორენა ბართია). სკოლა საჭიროებს მიმდინარე რემონტს. არ არის სპორტული დარბაზი.

საბავშვო ბაღი, სადაც არის შერეული ჯგუფი, ირიცხება 37 აღსაზრდელი და დასაქმებულია 8 თანამშრომელი. მთავარი სპეციალისტი არის თინათინ ხელაია.

სამედიცინო ამბულატორია, (ექიმი-თეა ლატარია).

სოფელში გვაქვს სტადიონი და მინი სტადიონი.

ფუნქციონირებს ერთი მინი მარკეტი და რესტორანი „აია“.

სოფელს სრულად მიეწოდება ელექტრო ენერგია, წყალი და ინტერნეტი (სქაიტელი).

ასევე ფუნქციონირებს რამოდენიმე საწარმო: შ.პ.ს. „მონოლით ტრანსი“, შ.პ.ს „ტრანსკო“, შ.პ.ს. „პრაიმ ბეტონი“, შ.პ.ს. ვჩვ„სან-პეტროლიუმ ჯორჯია“, შ.პ.ს. „ გეოფიშფაქტორი“, შ.პ.ს „კარგო გრუპი“, შ.პ.ს. „არსი“, შ.პ.ს. „აიხანს ტრანსი“, შ.პ.ს. „ასპ გრუპი“, შ.პ.ს. „კავკასიის საექსპედიტორო კომპანია“, შ.პ.ს. „ელ.ენდ.ჯი“, შ.პ.ს. „ ალასკა“.

აღნიშნულ საწარმოებში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმების მაჩვენებელი არის საშუალოზე მაღალი. დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 60 %. აქედან საჯარო სამსახურში მუშაობს 14 %, ხოლო კერძო სექტორში-86 %. მოსახლეობის უმუშევრად დარჩენილი 40 % თვითდასაქმებულია ოჯახურ მეურნეობაში.

გვაქვს პრობლემებიც: შიდა ქუჩები არის მოუწესრიგებელი, საჭიროებს მოხრეშვა-მოგრეიდერებას.

მიმდინარე წელი როგორ დაიწყო, რა მოლოდინები გაქვთ, რას ითვალისწინებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. იმედია, გათვალისწინებულია მოსახლეობის ინტერესები?

–სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გრძელდება სოფლის მთავარ ქუჩაზე გარე განათების სისტემის მოწყობა.

მალე დაიწყება სოფლის გაზიფიცირება და უგზოდ დარჩენილი 2,5 კმ-ის მანძილზე ცემენტ–ბეტონის გზის საფარის დაგება. ორივე შემთხვევაში ტენდერი დასრულებულია და გამოვლენილია გამარჯვებული.

ამჟამად მელიორაციის სამსახური ახორციელებს წყალ შემკრები არხების ამოწმენდას.

ქალბატონო მთვარისა, სოფლის საქმეებში თქვენთან ერთად ვინ არის ჩართული. როგორია სოფლის დეპუტატის როლი? აღნიშნეთ სოფლის მზრუნველი ადამიანები და მათ მიერ გაკეთებული საქმეები.

–სოფლის დეპუტატი აკაკი ხურცილავა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პრობლემატური საკითხის გადაჭრაში. ჩვენი ძალისხმევით და ადგილობრივი მთავრობის ყურადღებით, არაერთი დახმარება გავუწიეთ სოფელში მცხოვრებ მოქალაქეებს. გავუწიეთ მატერიალური და ფინანსური დახმარება (სამ ოჯახს გადავუხურეთ საცხოვრებელი სახლი; რამოდენიმე პიროვნებას გადავურიცხეთ საოპერაციოდ საჭირო თანხა.)

მე და დეპუტატი ბავშვობიდან ვმეგობრობთ და შეთანხმებულად ვმუშაობთ ჩვენი სოფლის კეთილდღეობისთვის.

ახალგაზრდებზე რას გვეტყვით, ჩართულები არიან თუ არა ისინი სოფლის საკეთილდღეო საქმეებში? არის მოსახლეობის გადინება? რატომ?

–სამწუხაროდ ახალგაზრდები ნაკლებად აქტიურობენ, მოსახლეობის 0,06 % იმყოფება საზღვარგარეთ.

გვიამბეთ სოფლის წარჩინებულ ადამიანებზე, იმაზე, რომლებიც დღეს მოღვაწეობენ აქ და სხვა ქალაქებში?..

–სოფელი ამაყობს ცნობილ მედიკოს ლევან რატიანით, რომელიც თბილისის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორია.

როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო სამზადისი? გვაიმბეთ ხალხის განწყობაზე?

–წინასაარჩევნო სამზადისი მიმდინარეობს მშვიდ ვითარებაში. მოსახლეობის განწყობა არის დადებითი. დარწმუნებული ვარ ჩემი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა საღად აზროვნებს და გააკეთებს სწორ არჩევანს. აირჩევს საქართველოს უკეთეს და გაბრწყინებულ მომავალს.

სოფელში თუ გაქვთ ეკლესია

–წმინდა დიდმოწამე ბარბარეს სახელობის სამლოცველო, სადაც მღვდელმსახურებას ეწევა მღვდელი ანდრია, ერისკაცობაში ლევან ჟვანია;

ქალბატონო მთვარისა, რას უსურვებდით მოსახლეობას და რას ელით მათგან?

–ბუნებით ვარ ოპტიმისტი და ვარ ყველაფერი კარგის მოლოდინში. მჯერა და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს სოფელში ყველაფერი კარგად იქნება! ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დიდი მხარდაჭერით შევძლებთ სოფლის პრობლემური საკითხების მოგვარებას და თითოეულ მაცხოვრებელს შევუქმნით ცხოვრების უკეთეს პირობებს!

დაგემშვიდობებით!

–დიდი მადლობა თქვენს სარედაქციო კოლექტივს! უფალმა მოგმადლოთ სიკეთე, ბევრი მკითხველი და ახალ - ახალი წარმატებები!

ესაუბრა ნანი კილასონია.

ცოფის თავიდან აცილება შეიძლება, განკურნება-არა!

ჰიდროფობია (ცოფი) მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით და სრულდება სიკვდილით.

ადამიანის ინფიცირება ხდება დაავადებული შინაური და გარეული ცხოველებიდან: ძაღლი, კატა, მელა, მგელი, ტურა, დათვი და სხვა თბილსისხლიანი ძუძუმწოვრები, რომლებიც ვირუსს ნერწყვით გამოყოფენ.

როგორ ვრცელდება ცოფი?

–დაავადებული ცხოველის კბენით;

–დაავადებული ცხოველის ნერწყვის ადამიანის ან სხვა ცხოველის პირის, ცხვირის და თვალის ლორწოვანაზე მოხვედრით;

–დაავადებული ცხოველის ნერწყვის ადამიანის ან სხვა ცხოველის დაზიანებეული კანის საფარზე (ჭრილობა, ნაკაწრი, მიკროტრამვა) მოხვედრით;

–ძალიან იშვიათად ორგანოთა ტრანსპლატაციის დროს.

ადამიანიდან ადამიანზე ცოფის ვირუსის გადაცემის დადასტურებული შემთხვევები აღ-

წერილი არ არის!

როგორ მივიტანოთ ეჭვი ცოფზე?

–ცოფით დაავადებულ ცხოველს ეცვლება ქცევა: ხდება აგრესიული, გარბის სახლიდან, ეწყებათ უნებური ნერწყვდენა, ყლაპვის გაძნელება, უარს ამბობენ საჭმელსა და წყალზე, ღრღნის უცხო სხეულებს.

თუ დაგკბინა ან დაგდორბლა ცხოველმა:

–სწრაფად ჩამოიბანეთ ჭრილობა საპნით და დიდი რაოდენობის გამდინარე წყლით.

–დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს!

ცოფის პროფილაქტიკა შესაძლებელია ვაქცინაციით;

–ცხოველთა დაკბენის ან დადორბვლის შემთხვევაში,–მიმართეთ ვეტერინარს.

გახსოვდეთ!

ადამიანის ჰიდროფობიისგან დაცვის ერთადერთი საშუალება დროული ვაქცინაციაა!

ადამიანის ინფიცირებიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაავადების ნიშნები შეიძლება არ გამოვლინდეს. ცოფის ინკუბაციური (ფარული) პერიოდი გრძელდება 10 დღიდან 1 წლამდე.

დამახასიათებელი სიმპტომებია:

–ტკივილი, წვა, დაბუჟება ნაკბენ ადგილზე;

–სიცხე, თავის ტკივილი, უძილობა;

–წყლის და სინათლის შიში;

–დიდი რაოდენობით ნერწყვის გამოყოფა;

–აგრესიულობა, დეპრესია;

–გაუგებარი მეტყველება;

–ჰალუსინაციები. ბოდვა;

გახსოვდეთ!

–აცერით თქვენი ცხოველი!

–არ დაუშვათ, რომ ცხოველმა ისეირნოს ყველგან, სადაც მოესურვება.

–მოერიდეთ გარეულ, მოხეტიალე ან უცხო ცხოველებთან კონტაქტს.

–მოერიდეთ ცხოველს, როცა ჭამს, ან სძინავს, ან შვილებზე ზრუნავს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კაბინეტები ფუნქციონირებს „ევექსის“ ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკაში, შ.პ.ს. „მკურნალში“ და შ.პ.ს „პულსის“ სამედიცინო დაწესებულებაში. თითოეული მათგანი ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიერ უწყეტ რეჟიმში უზრუნველყოფილია ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით და შესაბამისი იმუნო გლობულინით.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ნებისმიერი ადამიანისთვის ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პირობითი და სრული კურსის ჩატარება უფასოა. ცოფზე საეჭვო ქცევის მქონე ცხოველებთან კონტაქტისას, ან შინაური ცხოველების მიერ ადამიანების დაკბენის, გაკაწვრის ან დადორბლის შემთხვევაში დაზარალებულმა დაუყონებლივ უნდა მიმართოს ზემოთ დასახელებულ სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც მათ გაუწევენ დროულ და კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.

ტელ: 595 95-61-48; 577 62-89-30

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე-ექიმი პროფილაქტიკოსი.

სულთათვნა

ენვერ სალაყაია



ენვერ სალაყაიას ახალგაზრდობიდან ვიცნობდი, იმ დროიდან, როცა ოჯახი ხობში, ჩემს მეზობლად გადმოსახლდა. მაშინ გავიგე მისი ტკივილიანი წარსულის შესახებ.

ვიცოდი დედ-მამა–ქალბატონი ლუნა და ბატონი ივლიანე პედაგოგები იყვნენ. დედა ადრე, ახალგაზრდობაში გარდაიცვალა და შვილების დიდ და მოუნელებელ ტკივილად იქცა.

დიანა, ენვერი, ავერი და ვალერი სათაყვანებელი ბებიის, სულმნათი, მათზე მზრუნველი, ნასტიას გაზრდილები იყვნენ.

შემდეგ სანამ ხობში გადმოვიდოდნენ, ახალმა ტკივილმა დაისადგურა მათ ოჯახში. უმცროსი ძმა ვალერი ტრაგიკულად დაიღუპა. სწორედ ეს გახდა მათ მიერ პირველი ხორგის, თავიანთი ოდაბადის დატოვების მიზეზი...

ხობის ცენტრში, საერთო საცხოვრებელში, დაიდეს ბინა და მიუხედავად ტკივილიანი წარსულისა, ცხოვრება მაინც ლამაზად გრძელდებოდა.

დიანა ხობის კომკავშირის ახალგაზრდობის ერთ–ერთი ლიდერი გახლდათ.

ენვერი ლექსებს წერდა და თავისი უმშვენიერესი განათლებით, საუკეთესო ლექსებით ყველას მოწონებას იმსახურებდა. მომწონდა მისი შემოქმედება, როცა მათთან მივდოდი ყოველთვის ახალ-ახალ ლექსებს მიკითხავდა. მას ერთი საოცარი თვისება ჰქონდა. მთვარეულივით ღამე არ ეძინა, ძალიან ბევრს კითხულობდა, პოეზიაში ჩაფლული ახალ ლექსებს ქმნიდა... დღე კი ეძინა და წამლად რომ დაგჭირვებოდა, ვერ იპოვნიდი... მეორე–ნაკიან წელიწადს, 29 თებერვალს იყო დაბადებული. მეც თებერვლის თვეში დავიბადე... ვეუბნებოდი შენ ყოველ მეოთხე წელს გემატება ასაკი, მე კი... ვწუხდი ყოველ წელს მემატება ასაკი და ვბერდებითქო...

ვმეგობრობდით. მისგან ბევრ საინტერესო რამეს ვიგებდი, ვსწავლობდი, განათლებული ახალგაზრდა იყო. ნამდვილი ერუდიტი. თუმცა არასოდეს იმჩნევდა...

ის რამდენიმე ლექსის კრებულის ავტორია. ჩემი მეუღლე ჟურნალისტი გაიოზ (გოგი) ბუკია მისი საუკეთესო მეგობარი გახლდათ. ორივენი წიგნის მოყვარულები იყვნენ...

...ისევ და ისევ ტკივილი. ზეციურ სამყაროს შეუერთდნენ ბატონი ივლიანე და ძალიან საყვარელი ადამიანი, მასზე უმცროსი ძმა, ავერი... წლების შემდეგ და დიანა...

ძნელი იყო მისი ცხოვრება, ტკივილით სავსე... ისინი უკვე დიდი დროის მერე ხობში ახალ სახლში ცხოვრობდნენ, თამილა გვასალიამ და ენვერმა საუკეთესო ოჯახი შექმნეს და ორი ულამაზესი და უნიჭიერესი გოგონების მშობლები გახდნენ.

ხარობდნენ მშობლები დიკასა და ბაკოს ბედნიერებით. შვილიშვილებით, მაგრამ ბედმა ისევ არ დაინდო ოჯახი... ულამაზესმა და უნიჭიერესმა ბაკომ, ერთი ქალიშვილის დედამ, გადაწყვიტა კიდევ ერთი შვილის მშობელი გამხდარიყო, მაგრამ ორსულობის დროს პანდემიას ვერ გაუძლო, თავისი სიცოცხლე პატარა გოგონას დაბადებას ანაცვალა... თავად დღეს ზემოდან დასცქერის მის პირმშოებს და ღმერთს მათ კარგად ყოფნას ევედრება...

ამდენ ტკივილს ვერ გაუძლო ბავშვობიდან ატკიებულმა გულმა, მით უფრო, ბაკოს არყოფნამ დატანჯა, დაუძლურა. ვერ გაუძლო და უჩუმრად შეუერთდა მარადისობას...

ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა ნიჭიერო, მოსიყვარულე, ყველასთვის სიკეთისმოსურნე მეგობარო, ღირსეულო პოეტო.

ნათელი დაადგეს შენს საფლავს!

ნანი კილასონია

ვწუხვარ, შენს არყოფნას!..

სალომე ცხადაია

ეს ბოლო თვეები გაუსაძლისად მძიმე იყო ჩვენი ოჯახისთვის, შენმა მოულოდნელმა ავადმყოფობამ ძალზე დაგვზაფრა. გლოცავდით და ღმერთს შენს გადარჩენას ვთხოვდით, მაგრამ...

მონატრებით სავსე ორმოცი დღე მიილია... სალომე, უსაშველოდ გვენატრები... ვწუხვარ, რომ შენზე წარსულში უნდა ვწერო. ჩემო ლამაზო, ნაზო, სიყვარულითა და სითბოთი სავსევ, მომფერებელო, კარგო დედავ, მეუღლევ, მეგობარო, ნათლიავ!.. მტკივა შენი ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლა.

ჩემო კარგო, რაც ჩემი პატარა შვილიშვილის–ალექსანდრას ნათლია გახდი, უფრო დაგიახლოვდი. შენი ყოველი სტუმრობა და შეხვედრა მიხაროდა, მსიამოვნებდა, რომ ჩემს თამუნას და გიორგის შენი და მამუკას სახით ასეთი მეგობრები და ახალი ნათესავები ჰყავდათ . მეიმედებოდით, მიყვარდით... ახლაც მიყვარხარ, ვწუხვარ შენს არყოფნას, ვწუხვარ, შენთან გამომშვიდობებისას ვერ გითხარი, ძალიან მიყვარხარ-მეთქი. მენანებითქო კი გითხარი... ნეტავ ასე არ ყოფილიყო... სამწუხაროა, რომ შენი მოლოდინი არ გვექნება, რომ ვერ გეტყვი–ჩვენს ოჯახში ყოველთვის სასურველი სტუმარი ხარ მეთქი.

ჩემო გოგოვ, დღევანდელ დღესავით მახსოვს შენი და მამუკას ქორწილი, საუკეთესოები იყავით. გითხარი კიდევაც, თოჯინას გავხარ მეთქი. ისეთი ლამაზი იყავი, ნამდვილი ფერია, რამდენი გლოცე...

სალომე, იცი, ხობში როგორ ყვარებიხართ, აკლიხართ, ყვავილებისა და ცხარე ცრემლების წვიმა იყო შენს ეზოში... ჩემმა შვილიშვილებმაც ცრემლები გაგაყოლეს... შენი შვილები და ჩემი შვილიშვილები ხომ პატარაობიდან ურთიერთობენ... იცოდე, ეს არასოდეს განელდება. თამუნა და გიორგი ყოველთვის მამუკას, გიორგისა და საბას მოსიყვარულენი იქნებიან. მათი მეგობრობა და ურთიერთობა უფრო გაღრმავდება... მათ სულის სიმშვიდეს, გამძლეობასა და მხნეობას ვუსურვებ.

შენ კი ჩვენო საყვარელო, ნათელში იყავ! ღვთის მადლი გფარავდეს ახალ საუფლოში, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ...

ნანი კილასონია.

„ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2025 წ.წ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 განკარგულებით დამტკიცდა „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

„ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2023-2025“ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მიწოდებას და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 3 წლის განმავლობაში. ითვალისწინებს ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გაერთიანებასა და მათ შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის დამყარებას.

სტრატეგია მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის 2020 წლის 13 ნოემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ა(ა)იპ „მშვიდობისა და განვითარების აკადემიის“ პროექტის–„ჩართულობითი და მხარდამჭერი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება სამეგრელოს რეგიონში“–ფარგლებში; „ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის ანგარიში 2021“ საფუძველზე; ახალგაზრდული ორგანიზაციების, ახალგაზრდებსა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა“, რაც ითვალისწინებდა არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

მიზანი 1. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება

ამოცანები:

1. განვითარებულია ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი ახალგაზრდული საქმიანობის უნივერსალური და მიზნობრივი სერვისები და პროგრამები, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას;

2. მხარდაჭერილია ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით;

3. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეები.

მიზანი 2. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა

ამოცანები:

1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;

2. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამისს მხარდაჭერას;

3. მონაწილეობისა და დემოკრატიული კულტურის შესახებ ახალგაზრდების კომპეტენციები გაზრდილია და აქვთ პროაქტიული წვდომა სრულყოფილ, ხარისხიან და სასარგებლო ინფორმაციასთან მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ;

4. შექმნილია მონაწილეობის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო ყველა ახალგაზრდისთვის.

მიზანი 3. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა.

ამოცანები:

1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ინფორმაცია და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები;

2. პროფესიული განათლებისა და განვითარების შესაძლებლობებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა გაზრდილია.

მუნიციპალიტეტი განახორციელებს სტრატეგიის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას ახალგაზრდებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით. სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპზე ჩართული იქნებიან როგორც ახალგაზრდები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

ყოველი წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტი გამოაქვეყნებს სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს, რომელიც შეაფასებს სტრატეგიის განხორციელების შედეგად მიღწეულ პროგრესს. ანგარიშში ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, მომავალი წლის გეგმები;

ანგარიშის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიაში შევა ცვლილებები და დამატებები - სარწმუნო მონაცემების, მათი ანალიზისა და მიღებული გამოცდილების შედეგად დაინერგება ახალი აქტივობები და მიდგომები და გაუმჯობესდება მიმდინარე. სტრატეგია იქნება მოქნილი ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების ორიენტირებული;

3-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ განხორციელდება სტრატეგიის საბოლოო შეფასება. ანგარიში შეაჯამებს სტრატეგიის განხორციელების წარმატებას მისი ხედვისა და მიზნების შესაბამისად. საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით მოხდება ახალი დოკუმენტის შემუშავება და მიღება.

სტრატეგიის განხორციელების ამსახველი ანგარიშები წარედგინება მერს, საკრებულოს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს, მოხდეს მათი საჯარო განხილვა ახალგაზრდებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

სამოქმედო გეგმა

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა. ის მოიცავს კონკრეტულ და დროში გაწერილ აქტივობებს, რომლებიც ამოცანებისა და მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მოცულობის საკითხი ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის ორგანოების მსჯელობისა და დამტკიცების საგანი იქნება.

მიზანი 1. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება

ინდიკატორები-შესასრულებელი აქტივობები:

1. ყოველწლიურად ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობა ახალგაზრდული ცენტრების ბაზაზე და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით.

2. 4 ახალგაზრდული მუშაკის გადამზადება.

3. კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების შეთავაზება ახალგაზრდული მუშაკებისთვის. გადამზადდებიან როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლები (მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკები/კოორდინატორები), ასევე ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან იმუშავებენ სხვადასხვა სივრცეებში.

4. დამატებითი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნა ყველა ახალგაზრდისთვის, ვინც ნაადრევად შეწყვიტა სწავლა.

5. ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა კულტურულ-შემოქმედებით, გართობა-დასვენების, სპორტულ და ფიზიკური აქტივობის ღონისძიებებში.

6. ღია, ხელმისაწვდომი და ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული ახალგაზრდული ცენტრების მუშაობის უზრუნველყოფა, სადაც ახალგაზრდები შეეძლებათ შეკრება, ხვდებიან ერთმანეთს, ატარებენ თავისუფალ დროს და ერთობიან, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამებსა და აქტივობებს.

7. 6 ბიბლიოთეკის მოდერნიზება ახალგაზრდულ სივრცეებად ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებაში;

მიზანი 2. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

1. ახალგაზრდული საბჭოს შექმნა.

წარმომადგენლობითი ახალგაზრდული საბჭოს მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა, კერძოდ:

ა) მონაწილეობა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში;

ბ) მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში;

გ) ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და მათი ადვოკატირება;

ე) ახალგაზრდების ინფორმირება.

2. ახალგაზრდული საბჭოს გაძლიერება.

საბჭო უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო სივრცით შეხვედრების ჩასატარებლად, ტრანსპორტირებით ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალგაზრდებთან შეხვედრისთვის, სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით და ა.შ. ახალგაზრდული საბჭო მისი ფუნქციების განხორციელებისთვის მიიღებს შესაბამის მხარდაჭერას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან;

3. ახალგაზრდების ჩართვა ბიუჯეტირების პროცესში; ყოველწლიურად ახალგაზრდები მონაწილეობას მიიღებენ საბიუჯეტო პროცესში, პრიორიტეტების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა ხდება ახალგაზრდებთან.

4. ახალგაზრდებს ექნებათ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და მიიღებენ შესაბამისს მხარდაჭერას.

5. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდების მიერ დაიგეგმება და განხორციელდება სულ მცირე 1 ღონისძიება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერით.

6. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა და დაფინანსება. იდეების მიღება მოხდება, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, ასევე ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფებისგან, ხოლო კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენაში ჩართული იქნებიან ახალგაზრდები და სხვა დაინტერესებული მხარეები. გამარჯვებული იდეები მიიღებენ (თანა)დაფინანსებას ან სხვა ტიპის მხარდაჭერას.

ყოველწლიურად ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა 12 000 ლარის ოდენობით, დაფინანსდება ახალგაზრდების ინიციატივები და იდეები.

მიზანი 3. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა

1. ყოველწლიურად სულ მცირე 50 ახალგაზრდა მონაწილეობას მიიღებს სასწავლო კურსებში;

2. გაიმართება შეხვედრები კერძო სექტორთან მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის გაცნობის მიზნით;

3. შემუშავებულია წინადადებები, რომ მოხდეს ახალგაზრდების სტაჟირება, გაცნობითი ხასიათის ვიზიტები, დასაქმების, მათ შორის სეზონური და საზაფხულო დასაქმების, შესაძლებლობების შექმნა კერძო სექტორში;

4.ახალგაზრდები პროაქტიულად იღებენ ინფორმაციას სამეწარმეო და ბიზნეს საქმიანობის დაწყებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ და მხარდაჭერას ასეთ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

5. ყოველწლიურად ჩატარდება სულ მცირე 2 შეხვედრა ან ღონისძიება დასაქმების სააგენტოსთან ერთად.

6. ჩატარდება სულ მცირე 3 საინფორმაციო კამპანია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სულ მცირე 300 ახალგაზრდა.

7. პროფესიული მომზადების/გადამზადების და სასწავლო კურსებს გაივლის სულ მცირე 50 ახალგაზრდა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.